# ქართული აზრი

№ 91 ნიუ იორკი, ივნისი 1972 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, JUNE 1972


ეროვნული ბიბლიოთეკა

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე".
>
> **აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

**„ხალხი, რომელიც მაღალი ნიჭიერებით არის შემკული, რომელსაც ისტორიული ცხოვრებით უცხოვრია და მრავალი განსაცდელი გამოუცდია, ის ხალხი უბედურების ჟამს აღმოიჩენს ნებისა და ხასიათის ძალას. ასე დაუწესებია ბუნებას და ამის მაგალითებს გვიჩვენებს თვით ისტორიაც.**

**ამგვარ ხალხთა შორის უნდა შეირიცხოს ჩვენი ქვეყანა".**

**დიმიტრი ბაქრაძე**

***

ორმოცდათოთხმეტი წელიწადი ... თავისუფალ ქვეყნებში გაბნეული ქართველები ორმოცდა მეთოთხმეტედ იხსენებენ, იმ სანეტარო დროს, როცა საქართველომ თავისი ნაინატრი აღისრულა, ეროვნული პიროვნება იპოვა და თავისუფალ ერების მსოფლიო ოჯახში, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანა შევიდა.

54 წელიწადი დიდი მანძილია ... ეს მთელი ეპოქაა ... ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. კინემატოგრაფიული სისწრაფით წარმოშობილ და განვითარებულ მოვლენების განჭვრეტა, თვით ფხიზელი გონების ადამიანსაც უძნელდება.

ამ ხნის განმავლობაში გ ა მ ო ი ც ვ ა ლ ა თვით გეოგრაფიული რუკაც. ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიის და სხ., გუშინდელი კოლონიები, დღეს სრულიად დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებია. გუშინდელი მპყრობელი, დღეს ძმური და მეგობრული მრჩეველი, დამხმარე და ხელისშემწყობია, ახლად წარმოშობილ ეროვნულ სახელმწიფოების ეროვნული მისწრაფების განსახორციელებლად.

უცვლელი დარჩა მხოლოდ რუსული იმპერიალიზმის ბუნება: მიმტაცებლობა სხვისა მიწა-წყლის და ეროვნული დოვლათის მისაკუთრება.

1921 წელში რუსული ოკუპაცია გამოვლინდა რკინისგზების, ფოსტა-ტელეგრაფის და ფინანსების მოსკოვთან შეერთებით. შემდეგ ეს თანდათან განვითარდა და ორმოცდაათი წლისთავზე საქართველოს მთელ ეროვნულ მეურნეობას რუსეთი დაეპატრონა. რუსეთი საზღვრავს თუ ქართველმა ერმა რა დარგში რამდენი ღალა უნდა მიართვას მპყრობელს და დაუზოგავათ იყვლიფება ქართველი ერი.

რუსული იმპერიალიზმის ურცხვ „მამელუკებს" ჰყოფნით გამბედაობა, ემიგრაციისათვის განკუთვნილ გაზეთ „სამშობლოში", ხშირ-ხშირად მოგვაგონონ, რომ 50 ქვეყანაში გადის საქართველოს ნახელარი, ქართველმა მოცეკვავეებმა, სპორტსმენებმა და სხ., „შორს გაიტანეს ჩვენი სამშობლოს სახელიო".

ჭეშმარიტად, ჩვენმა მკვირცხლმა მოცეკვავე ბიჭებმა და ნარნარა გოგონებმა მოხიბლეს ყოველი ქვეყნის მაყურებელი ... თუ გაზეთ „სამშობლოს" კალმოსნებისათვის სამშობლო რუსეთია, მართლაც შორს გაიტანეს მისი სახელი. მაგრამ, ვისთვისაც სამშობლო საქართველოა, გულდაკოდილი უყურებს რუსული იმპერიალიზმის მიერ ქართველი ადამიანის ნაღალი ღირსებების თავის სასარგებლოთ გამოყენებას.

დასავლეთში, და კერძოდ შეერთებულ შტატებში, შეგიძლიანთ იყიდოთ ქართული ჩაი, ბორჯომის წყალი და სხ. აბა მიბრძანდით რომელიმე მაღაზიაში და მოითხოვეთ ქართული საქონელი! გამყიდველი გაკვირვებული შემოგხედავთ და გეტყვით „მაგისთანა რამ არა გვაქვსო". ხოლო თუ მოითხოვთ რუსულ ჩაის, ან ბორჯომის წყალს, დაუყონებლივ მოგართმევენ.

ფინანსიურათაც ხომ მოსკოვი იგებს. უცხოეთში გაზიდული ქართული საქონელი რუსული სახელით იყიდება, მისი მოგება რუსულ სალაროში შედის. ქართველ ხალხს რჩება მხოლოდ შრომა ... მონური შრომა.

აბა რომელი ქართველი მამულიშვილი დაიჯერებს ამას საქართველოს სახელის და ქართული ნახელარის შორს გატანას და ამით თითქოს საქართველოს ეროვნულ პროპაგან-



დას, თუ არა თაღლითი კარიერისტი, რომელიც რუსული იმპერიალიზმის ერთგულებით ცდილობს ამაღლებას და გაძვალტყავებული მეზობლების ხარჯზე ფუფუნებაში ცხოვრებას.

საქართველოს ისტორია დამარცხება-გამარჯვების ისტორიაა. ძველთაც უნახავს ჩვენ ქვეყანას დამპყრობელი. მურვან ყრუები, თემურ ლანგები, შახაბაზები და სხ. ისენიც ბეგრავდნენ საქართველოს, იტაცებდნენ ეროვნულ დოვლათს, ქართველ რაინდებს ისენიც იწვევდნენ თავის ჯარში და აომებდნენ. მაგრამ არც ერთ დამპყრობელს თავში არ გაუვლია, თითქოს საქართველოს სადიდებლად აომებდნენ მათ. ეს მხოლოდ აღმოსავლეთ დესპოტიზმში ჩასახულ რუსულ იმპერიალიზმის მანკიერების კუთვნილებაა.

მჟავანაძეები, ძოწენიძეები და კვესელავები სიამაყით გადმოგვძახიან: ექვსასი ათასი ვაჟკაცი შევწირეთ სამამულო ომსაო ... ამაზე იტყოდნენ „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს ღამლუპველ ოსმალეთსაო". ამ შემთხვევაში კი რუსეთსა!

რუსეთი ისე იტაცებს ქართულ დოვლათს, ისე შეაკლა თავის იმპერიალისტურ მიზნებს ექვსასი ათასი ქართველი, რომ საქართველოსაგან მადლობასაც მოითხოვს. ნუ თუ ამაზე შორს წავა ერის უფლებების შელახვა და მისი დაცინვა.

მაგრამ ვცდებით ... ამაზე შორს უკვე წავიდა. ეტყობა რუსეთი საერთოდ ველარ ინელებს საქართველოს არსებობას, ამას გვამცნობს ექვსი მარტის გაზ. „პრავდას" ნომერი. აქ გაკიცხულია ქართული კომუნისტური პარტია; მართალია თბილისის კომიტეტის ამოფარებით, მაგრამ ეს ფაქტს არა სცვლის. ისიც მართალია, რომ გაკიცხვა ეკონომიური მიზეზით იხსნება, რიგიანი მკითხველი კი უმალ აღმოაჩენს ეროვნულ-პოლიტიკურ მომენტებსაც.

ამგვარად, თუ დღევანდლამდე რუსეთისათვის მიუღებელი იყო ქართული ემიგრაცია, როგორც მპყრობელ ძალასთან ახდილად დაპირდაპირებული, დღეს მისთვის მიუღებელი გახდა თვით ქართველი კომუნისტობაც.

რუსეთმა თავის სიძულვილში გაგვაერთიანა ... ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა მისთვის, როგორც ქართული ემიგრაცია, ისე მისი იდეოლოგიური მოპირდაპირე ქართველი კომუნისტობაც.

ჩვენ შორის ღობე აჰყარა და ერთ ეროვნულ მასათ გვაქცია.

უცხოეთში, უცხოთა შორის მონად დაბადებული და დღეს საქართველოში მოსკოვის თვალით და ყურით ქცეულნი, ცხადია, შეეცდებიან თავისი პარტია დააჯერონ, რომ „უფროს ძმას", ხან-გამოშვებით, ამნაირი დატუქსვის უფლება აქვს. მაგრამ, თვით კომუნისტური მასისათვის ამ დაუჯერებელ დამაჯერებლობას ფასი აღარა აქვს.

ეს მომენტი ქართულ ემიგრაციასაც ახალი პრობლემის წინაშე აყენებს. უპირველეს ყოვლისა ის უნდა განიტვირთოს ძველი პროგრამებისაგან და მთლიანად მიეძღვნას სამშობლოს იდეას.

უცხოეთში დაბადებულ ბავშვებს, შეძლებისდა გვარად, შემოუნახონ ქართული ენა და მისცენ მათ ქართული გული. საფრანგეთში დაბადებულ ჭაბუკების მოქმედებამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო. ყველა ქვეყნებში არსებულ ქართველებმა ეს სანიმუშოდ უნდა გამოიყენონ.

ასეთია 26 მაისის იდეის დავალება. ეს არის არა ყოველწლიური მოგონების დღე, არამედ, არის და უნდა იყოს ყოველდღიური პრაქტიკული შრომის მიზანი.

**გ. ზალდასტანიშვილი**

***

## სიტყვა
## წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულზე

**ქალბატონებო და ბატონებო!**

მადლობას მოგახსენებთ ყველას, რომ მობრძანდით, რათა ერთად ვიდღესასწაულოთ საქართველოს დამოუკიდებლობის ორმოცდამეთოთხმეტე წლისთავი.

ეს ის დღეა, როდესაც საქართველომ თავისი თავი აღიარა თავისუფალ ერად.

ჩვენი დღევანდელი მიზანი ორმაგია: ერთია, 54 წლის შემდეგ კვლავ ვაღიაროთ, რომ მხნედ ვინახავთ საქართველოს თავისუფლების და მტერთან შეურიგებლობის სულს და [illegible]მეობას და მეორე, რომ ვამხილოთ და დავგმოთ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის გახანგრძლივება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღევანდლამდე, ნახევარმა საუკუნემ გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა მპყრობელმა ყოველი ხერხი იხმარა მოესპო ჩვენი ეროვნული მეობა, ჩვენი უძლიერესი მემკვიდრეობა. მაგრამ ამ მომენტში ჩვენი აქ ყოფნა, ამდენი დროის და სიძნელეების შემდეგ, ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებს, რომ არასოდეს არ ჩაქრება ჩვენი ეროვნული აღგზნება და ქართული სული.

რატომ არის, რომ ქართველი ხალხი დამონებულია საკუთარ მიწა-წყალზე, ხოლო უცხოეთში მცხოვრებ, სხვა და სხვა ქვეყნებში გაბნეული ქართველები კი სიამაყით ატარებენ თავის ეროვნულ სახეს? პასუხი ყოველი ჩვენთაგანისათვის ნათელია: ეს იმიტომ, რომ საქართველოს ისტორია, რომელიც სამიათასზე მეტი წლის სიღრმეში შედის და ქართული კულტურა, რომელიც ნაყოფია ჩვენი ისტორიისა, მისთვის ორმოცდათოთხმეტი წელი მხოლოდ ერთი წამიერი მომენტია.

ქართულმა სულმა დაუმტკიცა უცხო დამპყრობელებს, რომ ის გაუძლებს ყოველგვარ დაწოლას და გუტეხელი დარჩება, ვიდრე გაუთენდება ის დღე, როცა ქართველი ხალხი, საქართველოში თვით იქნება თავისი თავის პატრონი და მბრძანებელი.

ჩვენი დღევანდელი თავმოყრა ამის ცოცხალი მაგალითია, რათა მთელ მსოფლიოს დაუმტკიცოთ ჩვენი ეროვნული დაუმარცხებლობა, და უპირველეს ყოვლისა კი, ჩვენ აღვაგზნოთ ჩვენში ქართული ეროვნული იდეის გამარჯვების რწმენა და იმედი.

ამიტომ კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით მობრძანებისათვის.

**ელ. ცომაია**

ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ა.შ.შ.

***

## სიტყვა
## წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულზე

**ქალბატონებო და ბატონებო!**

დღეს, როდესაც კოსმოსსა და ატომურ ეპოქაში ლაპარაკია ეროვნულ საკითხზე, მართლა გვაკვირვებს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლეს საფეხურზე კიდევ არსებობს ეს საკითხი. ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ ამას ადგილი აქვს ისეთ სახელმწიფოში, რომელსაც პრეტენზია აქვს იყოს ინტერნაციონალური, ეს ქვეყანაა მრავალმილიონიანი საბჭოთა კავშირი. რა არის ამის მიზეზი? რატომ არ აღიძრა ეს საკითხი იმ სახელმწიფოში, რომელიც დაფუძნებულია, ვითომ დემოკრატიულ ინტერნაციონალურ ბაზაზე? ეს მანკიერება ნათლად სჩანს არა მარტო საბჭოეთში მცხოვრებ მოსახლეობას შორის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს. ხშირად შეხვდებოდით პლაკატებს და დიდ ლოზუნგებს: რუსი, ქართველი, უზბეკი, უკრაინელი ყველა ერთად უნდა ებრძოდეს მტერს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თითქმის, 30-წელმა გიარა. დღეს რატომღაც საბჭოთა კავშირის კოსმონავტების რიგებში ვერა ვხედავთ არა რუს გვარებს. უფრო მეტიც, საბჭოთა პროპაგანდა სპეკულაციასაც უკეთებს თავის გმირებს, აყენებს რა მათ პირველ რიგში. თვით ფორმა, ს ა ბ ჭ ო თ ა თანამედროვე გმირების, კოსმოსსა თუ სპორტში, დამყარებულია რუსულ „დერჟიმორდულ" შოვინიზმზე, რასაც ჯერ კიდევ, თავის დროზე, ლენინი მოუწოდებდა.

ჯერ კიდევ 1956 წელში საქართველოში 9 მარტს, საბჭოთა ჯარის კაცებმა დახვრიტეს რამოდენიმე ასეული ქართველი სტუდენტი და ახალგაზრდა. სტუდენტების აჯანყება, ფორმალურად გამოიყურებოდა სტალინურ გამოსვლად. მაგრამ ეს მხოლოდ ფარდა იყო. მის შიგნით იდგა საკითხი საქართველოს ჩამოშორების რუსეთისაგან. უფრო მეტიც, თვით საბჭოთა კონსტიტუციაზე დაყრდნობით, ხალხი თხოულობდა, მსგავსად, ჩეხოსლოვაკიისა, პოლონეთის და რუმინეთის, რომ საქართველოსაც ჰქონოდა თავისი გარკვეული სეპარაცია. მაგრამ ყოველივე დამთავრდა საბჭოთა ავტომატებით. საინტერესოა, რანაირად შესძლო რუსულმა ჯარმა უიარაღო სტუდენტებისთვის ესროლა. ეს ამბავი ასე მოხდა: აჯანყება დაიწყო მარტის 5-ს და გრძელდებოდა უიარაღო ხალხის დახვრეტამდე, ე. ი. 9 მარტის ღამის ათ საათამდე. საქართველოს დედაქალაქ თბილისში არის ე. წ. 8-რვე გარნიზონი. ამ ნაწილში სპეციალურად არის დანიშნული ისეთი ჯარისკაცები, რომლებიც გაიზადრნენ ციმბირსა თუ სხვა რაიონებში უპატრონო ბავშვების სახლებში. მოგეხსენებათ, საბჭოთა ჯარში, პოლიტ-მეცადინეობა ყველაზე მაღლა დგას. ყოველ დღე, თითქმის, 6 საათის განმავლობაში მათ უჩიჩინებენ კომუნიზმის „სხივმფენობას": დანარჩენი ლიტელიტერატურა მათთვის, ისევე, როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის უბრალოდ არ არ არსებობს და თუ არსებობს არალეგალურად. ჯერ კიდევ 7 მარტს, თბილისში მილიციის თანამშრომლებს ჩამოერთვად იარაღი რადგან მილიცია ამბოხებულთა მხარეზე იყო. არ არის გამორიცხული, რომ კრემლს ამ დროს ჰქონდა ცეცხლის გახსნის აზრი. ასეც მოხდა, მაგრამ ჩვენი საკითხი ამოუწურავი დარჩა. როგორ შესძლეს ესროლათ ჯარისკაცებს უიარაღო ხალხისათვის? 8-ვე პოლკის ოფიცერთა ნაწილმა მიაშურა ქალაქის მორგს, რამოდენიმე უპატრონო მიცვალებულს ჩააცვეს საბჭოთა ჯარისკაცების უმაღლესი საოფიცრო რანგის ფორმა„ პილკოვნიკი, მაიორი და ასე შემდეგ. სროლის გახსნის წინ, გაატარეს ჯარისკაცები გადაცმულ მიცვალებულებთან. დასათეურება ასეთი იყო: ნახეთ რა უქნეს ქართველმა ნაციონალისტებმა საბჭოთა ოფიცრებსო. გარდა ამისა, ჯარისკაცებისათვის გაცემულ იქმნა არაყი. მაგრამ სროლა გაიხსნა არა სტალინის ძეგლთან, არამედ თბილისის ფოსტასთან.

ამ დროს ქალაქ ქუთაისში იდგა ქართული ჯარი გენერალ ჩხობაძის მეთაურობით. მაგრამ უკვე 7 მარტს ქართული ჯარი უეცრად, მოსკოვის შტაბის ბრძანებით, დაშალეს. მაშ როგორღა მოხდა სროლა? რამოდენიმე პროვოკატორი გამოვიდა მიტინგზე და განაცხადა, რომ ფოსტასთან დაიხვრიტა რამოდენიმე დელეგატი. ამ სიტყვების შემდეგ ხალხის რამოდენიმე ათასეულმა იბრუნა პირი და მიაშურა ფოსტას. თურმე მთელი ქალაქი ტანკებით და ჯარით ყოფილა გარშემორტყმული. ფოსტიდან 50 მეტრის მანძილზე გაიხსნა ცეცხლი და ხალხის გვამები მოეფინა რუსთაველის გამზირს. ამავე დროს ტანკებმა დაიწყეს წინ და უკან სიარული. მეორეთ ცეცხლი გაიხსნა ღამის 4 საათზე.

ფორმალურად ჯარისკაცებს აუხსნეს, რომ ქართველებს უნდოდათ ფოსტის აღება, დეპეშის მიცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ის აზრი, თითქოს სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოეთში მოხდა რაიმე ცვლილება და ხალხს მცირედი თავისუფლება მაინც მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიტყვა
## წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულზე

(დას. იხ. პირველ გვ.)

ეცა, სრული სიყალბეა. საბჭოთა ციხეების და ლაგერების გამრავლება ეხლა უმაღლეს ზომას აღწევს. არავითარ შემთხვევაში საბჭოთა ხალხი არ მოითმენდა სტალინის რეჟიმის გამეორებას, მაგრამ როგორც იტყვიან, მილიონობით დახოცილმა და გაციმბირებულმა ხალხმა, სიმართლესთან ერთად, საბჭოთა რეჟიმის განმავლობაში შიშის გრძნობაც გამოიმუშავა. ამის ძირითადი მიზეზი საერთაშორისო მდგომარეობა და პოლიტიკაა, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა რეჟიმის გახანგრძლივებას. არავის სურს ჩაერიოს საბჭოთა კავშირის შინაურ საკითხებში, მიუხედავათ იმისა, რომ 1956 წელში ჯერ საქართველოში, შემდეგ უნგრეთში და ჩეხოსლოვაკიაში, მოსკოვმა მთელ მსოფლიოს დაანახვა თავისი რეალური სახე. ტოტალიტალურ რეჟიმს სხვა პირობებში არსებობა არ უწერია. 50 წლის განმავლობაში, ვერ ნახავთ საბჭოეთის ისტორიის ერთ ფურცელს, რომ ადგილი არ ჰქონდეს მასიურ დახვრეტებს და გაციმბირებას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნიურენბერგის პროცესიდან დღემდე, კაცობრიობამ ბრძოლა გამოუცხადა ფაშიზმს, მაგრამ, რატომღაც საბჭოთა ჯალათებისადმი არ მოინახა გარდა „აღშფოთებისა“, ბრალდების პეტიცია. ხშირ-ხშირმა მოლაპარაკებებმა მრგვალ მაგიდებთან, კონიაკის და ბორჯომის თანხლებით, ჯერ-ჯერობით, ვერ შესძლო გამოეტანა რეალური ბრალდების აქტი. მთელი ჩემი მოკლე — 29 წლის მანძილი, რომელიც საბჭოთა კავშირში დავყავი, მომიხდა მუშაობა, არა მარტო საქართველოში, არამედ შუა აზიაში, სომხეთში, ბალტიის ქვეყნებში, რუსეთში და ვინ მოსთვლის კიდევ სად! საკუთარი გამოცდილებიდან შემიძლიან ვთქვა, რომ არ არსებობს რესპუბლიკა და ავტონომია, სადაც არ ისმოდეს აშკარა უკმაყოფილება საბჭოთა რეჟიმის წინაამდეგ. მაგრამ შიშის გრძნობა, გრძნობა თვით შენარჩუნებისა, მაინც ეხმარება ამ დესპოტიური რეჟიმის არსებობის გაგრძელებას. თუ დავეყრდნობით იგივე საბჭოთა ხელოვნებას და კერძოდ კინემატოგრაფიას, ვერ დაასახელებთ ვერც ერთ მართალ ფილმს, რომელიც ასახავდეს მეორე მსოფლიო ომის გარდა, რეალურ ცხოვრებას. თუ ასეთი ფილმები არსებობდნენ, ისინი უკვე აიკრძალა, როგორც იდეოლოგიურად სუსტი და გაუმართლებელი. მხოლოდ ხრუშჩოვის ბატონობის პერიოდში შეიძლებოდა სტალინის კრიტიკით რაიმეს შექმნა და ამან თავისი ღალი და წაუშლელი კვალი კიდეც დასტოვა. ხრუშჩოვის შემდეგ მდგომარეობა კვლავ იგივეა. მაგ. აქ, საზღვარგარეთ, სოლჟენიცინს, მრავალი გულშემატკივარი ჰყავს, მაგრამ საბჭოეთში მას არც ისე აფასებენ, როგორც საზღვარგარეთ, თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ სოლჟენიცინი საბჭოთა რუსეთში პირველი მწერალია. საქმე იმაშია, რომ მისი თემატიკა ასახავს სტალინის დროინდელ პერიოდს, ხოლო თუ რა ხდება დღეს და როგორ უნდა იცხოვროს საბჭოთა ადამიანმა ხვალ, ეს საკითხი, სოლჟენიცინის შემოქმედებაში, არ არის საკმარისად გაშუქებული. მე მგონია ეს არის ძირითადი თემა, რომელიც აღელვებს საბჭოთა ადამიანებს და მის მომავალს.

შეიძლება უფრო მეტიც ვთქვა: დღეს საბჭოეთში არავის უკვირს საბჭოთა ციხეების და საგიჟეთების არა ადამიანური პირობები, რადგან იშვიათად ნახავთ საბჭოთა კავშირში ისეთ ოჯახს, რომ ვინმე დახვრეტილი, ან გაციმბირებული არა ჰყავდეს. თუ კი არსებობს საბჭოთა წეს-წყობილება, ნორმალურია ციმბირისა და ურალის ციხეების არსებობაც.

ფორმალურად, რასაკვირველია, არსებობს რესპუბლიკური ცენტრალური კომიტეტები, მინისტრთა საბჭოები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები, მაგრამ ეს ყველაფერი არის სრული ფიქცია. არც ერთი სერიოზული და დიდი საკითხი არა წყდება მოსკოვის გარეშე. ხოლო, როგორც იტყვიან, თევზი თავიდან ყროლდება. ჯაჭვური რეაქცია ვრცელდება ყველა რესპუბლიკაზე განურჩევლად ადამიანს, ისევე, როგორც მხეცს გალიაში უცვდება კლანჭები და კბილები, რადგან გალიის გამღები არავინაა და თუ არის, მას გალიამდის არავინ მიუშვებს.

არამც და არამც არ მინდა იფიქროთ, რომ დღეს, ან გუშინ ვინმე შეურიგდა საბჭოთა რეჟიმს, პირიქით, რაც დრო გადის მისი მოწინაამდეგეები მრავლდებიან. სწორედ ამ მოვლენამ დაბადა საბჭოთა კავშირში ე. წ. „სამ-იზდატი“. უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები უძლურნი არიან, პირი აუკრან მილიონობით საბჭოეთის მოწინაამდეგეებს.

ამიტომ „სამ-იზდატმა“ გადაალახა საბჭოთა კავშირის ფარგლებს და დღეს მას მთელი მსოფლიო კითხულობს, როგორც თანამედროვე საბჭოეთის მაჯისცემას. სჩანს სტალინური რისხვა შემსუბუქებულია, ან და რომელ ძალას შეუძლიან შეაჩეროს მილიონობით ხალხის სურვილი! შიში არ არის მთავარი. მთავარია სიმართლე, რომლის დამალვა ყველა დროსა და ვითარებაში შეუძლებელია. ასეც ხდება დღევანდელ საბჭოთა კავშირში. საბჭოეთში უკვე არსებობს ადამიანის დაცვის კომიტეტი, რომელსაც აკადემიკოსი სახაროვი მეთაურობს. არსებობს ასობით ორგანიზაციები, რომლებიც თხოულობენ ხალხის თავისუფლებას. სტალინის კრიტიკით ხრუშჩოვმა 12 წლის განმავლობაში ფარდა ახადა საბჭოეთის არსს და ეს ყველაზე მთავარია. ხალხმა გაიგო, რომ თურმე შეიძლება შიშის გარეშე ცხოვრება, თურმე შეიძლება გამოიხედო ფანჯარაში, როცა შენს მეზობელს ღამე ატუსაღებენ, თურმე შეიძლება გააგზავნო საზღვარგარეთ პროტესტი და ის მიზანს მიაღწევს. ამ რამოდენიმე ხნის წინ, კოსიგინს, როგორც გახსოვთ, უნგრელმა პატრიოტმა, გეზა მატრაიმ თავისებურად გაახსენა, რომ უნგრელი ხალხი არ ივიწყებს 1956 წლის ამბებს. რატომღაც ამის შესახებ საბჭოთა პრესამ არაფერი სთქვა. ეს პოლიტიკა ძალიან მაგონებს სირაქლემას, რომელიც პატარა თავს მალავს ქვიშაში და უზარმაზარი სხეული კი გარეთ უჩანს.

თუ გადავხედავთ საბჭოთა რეჟიმს და გავიხსენებთ ხალხის უკმაყოფილებას, მე მგონია, ვალდებულათ ჩავთვლით თავს, რომ არ ვიყოთ გულგრილნი. ჩემის აზრით, დღეს ყველაზე აქტუალური საკითხი გულგრილობაა, ერთი შეხედვით იგი არ მოგეჩვენებათ საშიშად. თუმცა განსხვავება დიდია, როდესაც მეტროში რამოდენიმე ახალგაზრდა თავხედობს და მას არავინ აქცევს ყურადღებას, ესეც გულგრილობაა, მაგრამ, როდესაც ერთ სახელმწიფოში ათასობით ხალხი იტანჯება და მათ არავინ აქცევს ყურადღებას, ეს გულგრილობაზე უარესია. ეს მოვლენა უფრო მაშინ სჩანს, როცა უცხოელები მცირე ვიზიტით მიდიან საბჭოთა კავშირში, სადაც რუსული ხიზილალა, სომხური კონიაკი და ქართული შამპანიური მდინარესავით მოსჩქეფს.

სამწუხაროდ, მრავალი აქედან ჩასული ეგება ამ ანკესს. ხოლო სინამდვილეში თუ რა ხალხის ფასი ზის ეს ხიზილალა და კონიაკი, არავის ახსოვს. მაგ. უცხოელისათვის, საბჭოეთში ყოველი სასტუმროს კარი ღიაა, საბჭოთა მოქალაქესათვის კი დახურული, მით უმეტეს თუ პასპორტში გიწერია, რომ ქართველი ხარ და სხვა, ე. ი. არა რუსი ეროვნების წარმომადგენელი. უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლებს მოუხსნეს დოტაციები ხრუშჩოვის დროს, ამიტომ დღეს მათ აღარა აქვთ ის შესაძლებლობა, რაც ძველად ჰქონდათ. მაგრამ ხალხის გასაციმბირებლად ჯერ კიდევ აქვთ ძალა. ადრე, ათი თორმეტი წლის წინ, ანეგდოტისათვის ციხე არ აგცდებოდათ, ეხლა ძნელია თავი მოუყარო ყველაფერს. მით-უმეტეს, რომ მათი რიცხვი მეტად საგრძნობია. არის ასეთი რუსული ანდაზა: „ჯარის კაცი არ ფიქრობს, ის მხოლოდ მოქმედებს“, სწორედ ასე ხდება საბჭოეთში. დაუშვათ იგივე 8 პოლკის ჯარისკაცი, რომელსაც ასროლინეს უიარაღო ხალხისთვის, მათ რომ შეეკითხოთ, თუ რატომ ესროლა უიარაღო საბჭოთა მოქალაქეს, გიპასუხებს: „პრიკაზ ესტ პრიკაზ“. ის მანქანაა, ის აქციეს ჩახმახზე თითის გამომკვრელ მანქანად. მასაცა სტკივა გული, ნიანგის მსგავსად... ნიანგიც ხომ ტირის, როცა თავის მსხვერპლს გემრიელად ახრამუნებს.

საზღვარგარეთ ცხოვრების ორი წლის განმავლობაში შევნიშნე, რომ მანძილი, რომელიც გაშორებს საბჭოთა კავშირს, ვერ ამსუბუქებს იმ საშინელებას, რასაც გრძნობ მუდამ: დღე და ღამე. როდესაც გახსოვს, თუ რა არის უსამართლობა და ტყვიის ზუზუნი. ყოველ ადამიანს თავისი გაჭირვება ყველაზე დიდათ მიაჩნია, მასაც, ვისაც 15 წლით გაციმბირება მიუსაჯეს და მასაც, ვისაც აწუხებს წლიური გადასახადის გადახდა. ორივესათვის თავთავის მხრივ გასაჭირი დიდია, გული ერთნაირად ფეთქავს. პირველ შემთხვევაში უსამართლობისაგან, მეორე შემთხვევაში მატერიალური დანაკლისისაგან. მაგრამ არსი პირველისა დიდია. სადაც მშიერს ციმბირის ციხეში ხმელი, გახეხებული პურის ლუკმით, სისხლთან ერთად კბილებიც გადაუყოლებია. თუ ადამიანს, რომელსაც ახალი კბილის ჩასმა ფული ულირს. ერთი შეხედვით პრობლემა თითქმის ერთნაირად გამოიყურება, რადგან საკითხი კბილებს შეეხება, მაგრამ ადამიანი ხომ შექმნილია არა იმისათვის, რომ კბილები მარტო საჭმელად ჰქონდეს, ან ლამაზი ღიმილისათვის, არამედ კბილებით ზოგჯერ კისერშიც უნდა ეცე მტერს. ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ დღეს პატრიოტიზმი უაზროა, მაგრამ დასასრულს მინდა მოგახსენოთ, თუ კი აფრიკაში, ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის მალი, კამერუნი და სხვებს შეუძლიანთ იყვნენ თავისუფალნი, რატომ არ შეიძლება თავისუფალი იყოს ქართველი ერი და ისე იცხოვროს, როგორც მას სურს და შეეფერება მის ბუნებას, ტრადიციას და მრავალ საუკუნეების განმავლობაში შექმნილ მაღალ კულტურას.

1956 წელში ქართველმა ერმა მოითხოვა თავისი სიტყვა, მაგრამ, პასუხად 20 წლის ჭაბუკების გვამები მიიღო. დღეს მსოფლიო ლაპარაკობს ბასკ პატრიოტებზე, მაგრამ ივიწყებენ, რომ არიან სხვა ქვეყნის პატრიოტებიც, რომლებიც იბრძოლებენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ვიდრე მათი სამშობლო არ იქნება თავისუფალი.

უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ აქ, თავისუფალი ამერიკის დიდ კონტინენტზე საშუალება მაქვს მივესალმო თავისუფლების მოყვარულ ლაღ ქართველ ხალხს და თქვენთან ერთად ვთქვა: გაუმარჯოს ოცდა ექვსი მაისის იდეას, გაუმარჯოს თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს!

**ალმას ჯიქია**

---

## საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

( გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 90)

საბჭოთა კავშირის ინვაზიის რამოდენიმე კვირი შემდეგ, ჰიტლერმა ალფრედ როზენბერგი დანიშნა დაპყრობილ აღმოსავლეთ ტერიტორიების სამოქალაქო ადმინისტრაციის სათავეში. „აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროს“ შექმნას, თითქოს დაპყრობილ ტერიტორიებით დაინტერესებულ გერმანულ უწყებათა შორის მეტოქობა და შუღლი უნდა მოესპო. სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. საგარეო საქმეთა სამინისტრო, დასაწყისში შეეცადა მოსალოდნელ განვითარებაზე გავლენა მოეხდინა.

შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა და სამხედრო უწყებამ შეინარჩუნა ინტერესი, არა მარტო ფრონტის ახლო, არამედ ზურგის ტერიტორიებზეც, რადგან სამხედრო მომარაგების გზები აქედან მიემართებოდნენ ფრონტისაკენ. დაპყრობილ ტერიტორიებზეც მომქმედი პილიცია ჰიმლერის დირექტივებით მოქმედებდა, ეკონომიური საკითხების მრავალი უწყებებიც როზენბერგის ზედამხედველობის ქვეშ არ იყვნენ.

გარდა ამისა, უკრაინის კომისრად, როზენბერგის პროტესტის მიუხედავად, პარტიის კანცელარიის ხაზით დაინიშნა ერიხ კოხი. ეს ის კოხი იყო, რომელსაც ნაციონალ-სოციალისტურ შინა წრეებში, ზოგიერთები მეტსახელად „წითელ ერიხს“ უწოდებდნენ. მისივე თქმით, ის თურმე ფანატიკური კომუნისტი გახდებოდა, ჰიტლერის გავლენით ნაციონალ სოციალისტურ მოძრაობას რომ არ შეერთებოდა. გერმანიის დეპრესიის დღეებში კოხი მთავარი მოლაპარაკე იყო, იმ ნაცისტების, რომლებსაც საბჭოთა კავშირთან დაახლოვება სურდათ. (იხ. German Rule in Russia by Alexander Dallin pp. 125). ეს „პირველ ხარისხოვანი“ დემაგოგი, აღმოსავლეთ პრუსიის გაულაიტერი იყო და ბორმანის და გერინგის პროტექციით სარგებლობდა. ის წესით როზენბერგს უნდა დამორჩილებოდა, გარნა თავის ოფიციალურ უფროს მაღლ თავზე გადაახტა და მისივე გამოთქმა, რომ ვიხმაროთ, როზენბერგის „რომანტიული“ და „ჟულუბრყვილო“ გეგმები უარყო.

კოხმა სავსებით გაიზიარა ჰიტლერის პოზიცია, რისი მიხედვითაც:

1). გერმანელი ერი ბატონი ერი იყო, 2). აღმოსავლეთის დაპყრობილი ერები განკუთვნილნი არიან ემსახურნენ თავიანთ ბუნებრივ ბატონებს, ე. ი. გერმანელებს, 3). გერმანიის უფლება და მოვალეობაა, რათა დადაპყრობილთ ექსპლოტაცია გაუწიოს, 4). სრული კონტროლი მოითხოვს, რათა ადგილობრივი ინტელიგენცია და ყველა ის ელემენტები, ვინც ამ მიზანს ხელს შეუშლიდნენ, გაენადგურებინათ.

კოხი თავის აწმყო პრაქტიკულ ამოცანად სახავდა უკრაინის ხარჯზე გერმანიის სურსათ-სანოვაგის და მუშახელით მომარაგებას, არა ადამიანური მეთოდებით, მიუხედავად როზენბერგის წინაამდეგობისა.

როზენბერგის კონცეპცია აღმოსავლეთ ტერიტორიების მიმართ, განსხვავდებოდა ჰიტლერის და კოხის იდეებისაგან.

როზენბერგს სურდა საბჭოთა კავშირის დანაწილება და მასში შემავალ არა რუს ერების დამოუკიდებელ სახელმწიფოების შექმნა, გერმანიის სრული ზედამხედველობით. ეს სახელმწიფოები რუსეთს გარშემო რკალივით უნდა შემორტყმოდნენ.

საბოლოოდ, ეთნიურ ფარგლებში, თვით რუსეთსაც თავისი სახელმწიფო უნდა მიეღო. 1941 წელს, როზენბერგის ახლო თანამშრომელი სწერდა: „ჩვენი პოლიტიკა მიზნად ისახავს, რათა უკრაინა გახდეს წონასწორობის დამცველი ძალა, რუსეთის, პოლონეთის და ბალკანეთის მიმართ და ხიდათ კავკასიისაკენ. (იხ. Alexander Dallin გვ. 108). როზენბერგის აზრით, ახლო კავშირი უკრაინასა და კავკასიის შორის დიდი ფაქტორი იქნებოდა მოსკოვის საწინააღმდეგოდ შექმნილ არა რუს ერთა კოალიციაში (იხ. იგივე წიგნი გვ. 109).

როზენბერგი, თვითონ ლტოლვილი ბალტიელი გერმანელი იყო, რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიიდან. ჯერ კიდევ 1919 წელს, მიუნხენში მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სხვა და სხვა ემიგრანტთა ჯგუფებთან, მათ შორის ალექსანდრე ნიკურაძესთან, რომელთანაც ის დამეგობრდა. მათი მეგობრობა დიდ ხანს გაგრძელდა და მინისტრობის მიღების შემდეგ მან პროფესორი ალ. ნიკურაძე, აღმოსავლეთ ინსტიტუტის დირექტორად დანიშნა.

პროფ. ნიკურაძემ, სანდერსის ფსევდონიმით, ორი წიგნი გამოსცა: „აღმოსავლეთ ევროპა“ და „კავკასია, რომლებიც იმ დროს, გერმანიაში რეფერატებათ ითვლებოდნენ, ხოლო პროფესორი კი ამ საკითხების ექსპერტად. წიგნებში ხაზგასმულია კავკასიის ისტორიული, პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ევროპისათვის, რომლის განუყოფელი ნაწილი კავკასია არისო. ნიკურაძე დიდი გავლენით სარგებლობდა მინისტრზე და მის ახლო წრეზე, კავკასიის „მომავალ მმართველის“, არნო შიკედანსის ჩათვლით.

ქართველების უდიდესი ნაწილი, ცხადია, როზენბერგის კონცეპციას არ იზიარებდა. ჩვენთვის გერმანიის „სრული კონტროლი“, მისი დისკრიმინაცია ებრაელების მიმართ და რუსების „მეორე ხარისხოვან“ ადამიანებათ აღიარება, სრულიად მიუღებელი იყო. ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გვსურდა და ამის შემდეგ, რუსეთთან კეთილ-მეზობლური დამოკიდებულება და არა მისი დაჩაგვრა და დამცირება.

აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში ორი მნიშვნელოვანი პირი, ოტო ბრაუტიგამი და პროფესორი გერხარდ ფონ მენდე, თავის მინისტრის, როზენბერგის კონცეპციას არ იზიარებდნენ და აღმოსავლეთის საკითხებს შულენბურგის, შტაუფენბერგის, კოსტრინგის და ჰერვარდის მსგავსად უყურებდნენ. (იხილეთ Alexander Dallin გვ. 238).

ოტტო ბრაუტიგამი კავკასიის სპეციალისტი იყო და ის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან იყო გამოყოფილი „საერთო პოლიტიკის“ განყოფილების სამეთაუროდ აღმოსავლეთ სამინისტროში.

პროფესორი მენდე განაგებდა „კავკასიის განყოფილებას“, სადაც ის ბერლინის უნივერსიტეტიდან იყო „მობილიზებული“ სამინისტროსათვის.

მისმა ნარკვევებმა, კავკასიის და თურქული ჯგუფების შესახებ, სამინისტროს ყურადღება მიიქციეს თურმე. ეს კავკასიელების და თურქესტანელების მეგობარი დიდი ჭკუა-გონებით, მოხერხებით და ენერგიით მოქმედებდა და პატარა ერების ნამდვილ დამცველად გადაიქცა.

პროფ. მენდემ, უკვე 1942 წლის დასაწყისში, მრავალი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ, დაარსა ორგანიზაცია, რომელსაც „მიტტელშტელე“ (Mittelstelle) უწოდა და ის ეროვნული წარმომადგენლობის მიხედვით დაჰყო. ამ ოგანიზაციის მიზანი იყო გერმანიის სფეროში მოქცეულ კავკასიელების, თურქესტანელების და ყირიმელი თათრებისათვის დახმარების გაწევა.

ორგანიზაცია უკვე არსებობდა, როცა ზემოდ რამოდენიმეჯერ ნახსენები საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა, — გრაფმა შულენბურგმა თავის აღმოსავლეთის გეგმის განხორციელების დასახმარებლად ემიგრანტების გამოყენება გადაწყვიტა. ამ მიზნით 1942 წლის აპრილში ბერლინში მოიწვია მოსალაპარაკებლად ზოგი მისთვის პირადათ ცნობილი ემიგრანტი: საფრანგეთიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან, ბალკანეთის ქვეყნებიდან და თურქეთიდან. დაპატიჟებულთა უმეტესობა ბერლინში ჩამოვიდა, რომლებიც „მასპინძელმა“, ე. ი. საგარე საქმეთა სამინისტრომ ცნობილ სასტუმრო „ადლონში“ დააბინავა, რის გამოც შულენბურგის ამ პროექტს მეტსახელად „ადლონიადა“ შეერქვა. ქართველებიდან, სხვათაშორის იყვნენ: ნაციონალ-დემოკრატების ლიდერი სპირიდონ კედია, „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ლეო კერესელიძე, ირაკლი ბაგრატიონი, დათა ვაჩნაძე და ზურაბ ავალიშვილი.

ჩრდილო კავკასიელებიდან: ჟურნალ „კავკასიის“ გამომცემელნი: ჰაიდარ ბამატი და ალიხან კანტემირი; „პრომეთეს“ ჯგუფიდან: აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი „მუსაკატი“ რესულ ზადე, ზოგი თავისი თანამშრომლის თანხლებით. შამილის შვილიშვილი საიდ შამილი და თურქესტანელი ველი კაიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

(დასაწყისი იხ. მეორე გვ.)

შულენბურგს არ შეეძლო ოფიციალურად ნოე ჟორდანიას, ან მისი ახლო წრიდან ვინმეს დაპატიჟება, თუმცა მას იგი კარგად იცნობდა, ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოში ელჩობის პერიოდიდან. ამის უმთავრესი მიზეზი იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის ლასაწყისში, როცა ჰიტლერი დემოკრატიულ სახელმწიფოებს შეეჯახა, ნოე ჟორდანიამ, როგორც საქართველოს ყოფილმა მთავრობის თავმჯდომარემ და ქართულ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, საჯაროდ განაცხადა, რომ „ჩვენ დემოკრატიის მხარეზე ვართო". შულენბურგი გადაულახავ სიძნელეებს შეეჯახებოდა, რომ იმ დროს ჟორდანია ბერლინში მოეწვია. გარნა ის ჟორდანია-გეგეჭკორთან არაოფიციალურად მიხეილ კედიას საშუალებით იყო კავშირში. ნოე ჟორდანიას, ცხადია, მისი წინანდელი განცხადების მიუხედავათ, არ შეეძლო განზე გადგომა, როცა გერმანია მისი ქვეყნის მპყრობელ რუსეთს დაეჯახა და კავკასიას უახლოვდებოდა. როგორც უკვე ითქვა, ჰიტლერმა შულენბურგის გეგმა არ მიიღო, გარდა ამისა აღმოსავლეთ სამინისტროდან როზენბერგი ამხედრდა და საგარეო საქმეთა სამინისტროს „ფიურერთან" უჩივლა, რომ იგი არა ლეგალურად აღმოსავლეთ ტერიტორიების საქმეში ერეოდა მისი სამინისტროს „ზურგს უკან". ამის საპასუხოდ ჰიტლერმა 28 ივლისს ფორმალურ წერილით აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ აღმოსავლეთ ტერიტორიების საკითხებში არ ჩარეულიყო.

შულენბურგი იძულებული გახდა თავისი „ადლონის" სტუმრები, ოფიციალურ ბანკეტზე ახალი „მასპინძლებისათვის" — აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროსათვის ჩაებარებინა.

შექმნილმა მდგომარეობამ როზენბერგი აიძულა ნება დაერთო, რათა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაწყებული მოლაპარაკებები ემიგრანტებთან გაეგრძელებინათ, რაც მენდეს და ბრაუტიგამის განყოფილების სფეროში მოექცა. ამან კავკასიელების და თურქესტანელების საქმე ნაწილობრივ მაინც გადაარჩინა. რამოდენიმე შეხვედრის შემდეგ, ემიგრანტების ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა, მეორე ნაწილმა გერმანულ სხვა და სხვა უწყებებთან დაიჭირა კავშირი, ხოლო მესამე ნაწილმა განაგრძო დაწყებული მუშაობა მენდესთან და ბრაუტიგამთან. მათი დახმარებით მენდემ მოახერხა თავის განყოფილების განვითარება და გაზრდა.

1942 წლის აგვისტოში, მან დააარსა აღმოსავლეთ ერების წარმომადგენლების ცენტრი, რომლის საშუალებითაც მრავალ არსებულ პროექტების გამოსწორებას შეუდგნენ. მათ შორის, მაგალითად, ტყვეებისათვის ტანსაცმელის, ბინის და სანოვაგის შოვნას, მათთვის მიმოსვლის საშუალების გაუმჯობესებას და საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

ამასთან ერთად მან დაარსა, ერთგვარი ნაციონალური წარმომადგენლობა, რასაც **Nationalausschüsse** უწოდა. რადგან მენდე პარტიის წევრი არ იყო, მის მიერ თანამშრომლების ამორჩევა ამ თვალსაზრისით არ ხდებოდა. მენდეს გასაოცარი დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების უნარი და ასეთი ძლიერი განყოფილების შექმნა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ არც მომზადებით და არც ენების ცოდნით, მსგავსი სპეციალისტი ბევრი არ ჰყავდათ და მისი შეცვლა, ან მისთვის კონტროლის გაწევა ძნელი იყო.
(იხ. **Zwischen Hakankreuz und Sowjetstern, Patrik Von zur Mühlen Droste Verlag Düsseldorf. pp. 74, 79)**.

1942 წლის ზაფხულში დაარსებულ ნაციონალურ წარმომადგენლობაში შედიოდნენ: პროფ. მიხ. წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, სპირიდონ კედია და ექ. გიორგი მაღალაშვილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰიტლერმა აკრძალა „კომიტეტების" დაარსება, რადგან, მისი აზრით, ამას პოლიტიკური მოთხოვნილებები მოჰყვებოდნენ. პროფ. მენდე ხედავდა შექმნილ სახიფათო მდგომარეობას, ტყვეებისათვის, ლეგიონერებისათვის და საერთოდ ემიგრაციისათვის და მთელი ენერგიით ცდილობდა პრობლემის გამოსწორებას. ამ მიზნით მას და ბრაუტიგამს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ შტაუფენბერგთან, სხვა მხედრებთან და ყველა ამ საქმეში დადებითად დაინტერესებულ პირებთან და ორგანიზაციებთან. მეორე მხრივ კი ის ცდილობდა ნაციონალურ წარმომადგენლებთან ერთად, პრაქტიკულ მუშაობის ჩატარებას იმ იმედით, რომ მათი პოლიტიკური ცნობა, მოგვიანებით მაინც მიღწეული იქნებოდა, გარნა მდგომარეობა უკვე შეცვლილი იყო; ჯერ ერთი შულენბურგის გეგმის უარყოფის გამო „ადლონიადაში" ჩამოსულ პოლიტიკურ მოღვაწეთა უმრავლესობისათვის იქ დარჩენას საფუძველი აღარა ჰქონდა; მეორე: 1943 წელს გერმანიის სამხედრო მარცხების და უკან დახევის შემდეგ, მათი კავკასიაში შესვლის საკითხი აღარ იდგა.

ეხლა საჭირო იყო არსებული მძიმე პრობლემების მოვლა, რაც ქართული ემიგრაციის ლიდერობამ ახალთაობას დააკისრა. ამიტომ „ადლონიადას" მონაწილეთაგან, მხოლოდ გერმანიაში მცხოვრები პროფ. მიხეილ წერეთელი, ექ. გიორგი მაღალაშვილი და ზურაბ ავალიშვილი დარჩნენ.

ბერლინის დატოვება მიხ. კედიამაც განიზრახა, შულენბურგთან მოლაპარაკების შემდეგ, მაგრამ, როცა მან თავისი განზრახვა ნ. ჟორდანიას და ე. გეგეჭკორს აცნობა, ორივესაგან დავალება მიიღო დარჩენილიყო ბერლინში, რასაც მათი აზრით შექმნილი რთული მდგომარეობა მოითხოვდა. სწორედ ამ პირობებში, მენდეს და სხვა დაინტერესებულ უწყებებში დაიბადა იდეა კედია-მაღალაშვილთან და სხ., შედარებით, ახალგაზრდა ჯგუფებთან ჩამოეყალიბებინათ „საკავშირო შტაბი", რომელიც ემიგრაციის ყველა ფენას გააერთიანებდა, საჭირო პრაქტიკული მუშაობისათვის.

ემიგრანტებიდან ამ დროს ბერლინში იმყოფებოდნენ და ამ საქმეში მონაწილეობდნენ მრჩეველების თუ სხვა სახით: მიხ. ალშიბაია, მარკოზ ტულუში, ალ ასათიანი, შ. ბერეჟიანი, ალ. კორძახია, ერ. რამიშვილი, ნ. იმნაიშვილი, არ. გომართელი, ის. მანწკავა, ვიქ. ნოზაძე, ალ. ცომაია, ვ. ცხომელიძე, დ. სინჯიკაშვილი და სხ.

შტაბს უნდა შეეცვალა „აუსშუსი" და ენერგიული შრომით ცდილიყო მდგომარეობის გამოსწორებას. მისი მოქმედების სფერო საერთო, დიდ ხაზებში ჟორდანია-გეგეჭკორის ზემოაღნიშნულ წერილებში და ეროვნული გაერთიანების წესდებაშია გამოთქმული.

1943 წლის ოქტომბერში, როცა ქართული შტაბი დაარსდა, მის წინაშე ხუთი მთავარი პრობლემა არსებობდა:

1. ქართველები გერმანულ ჯარში, 2. ტყვეთა ბანაკებში, 3. სხვა და სხვა სამუშაოებზე, 4. ქართული ემიგრანტები გერმანიის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე და გერმანიაში, 5. კავშირი სხვა კავკასიელებთან და საერთოდ აღმოსავლეთის ერებთან.

(გაგრძელება იქნება)

გ. გაბლიანი

## ქსნის საერისთაო და მისი უკანასკნელი ერისთავები

(ისტორიული ნარკვევი)

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი" № 90)

ქეთევანის და მისი მეუღლის ყულარაღას იესეს შესახებ, საგულისხმო ცნობებს ვხვდებით აკ, ექ. თაყაიშვილის ერთ წერილში. ამ იშვიათ ოდიკს (ტრაპეზის გარდამოხსნას), რომელიც დიდის ხელოვნებით ყოფილა ხისაგან ამოჭრილი, სურათებს ირგვლივ ახლავს ორმაგი წარწერა ხუცური ასოებით. ზევითა წარწერიდან ირკვევა, რომ ოდიკი 1740 წელს ქართლის პატრიარქის დომენტის ბრძანებით გაუკეთებია (თუ გაუკეთებინებიათ), „თვისის შრომით და ხარჯით ქსნის ერისთავის შვილს ყულარაღას იესეს...". მკვლევარი დასძენს, რომ ქსნის ერისთავთა შორის იესეს სახელით ცნობილნი არიან სამნი: იესე პირველი (1615-1624), იესე მეორე (1675) და იესე მესამე, რომელიც ატარებდა ყულარაღასის (შახის მცველ რაზმის უფროსის) ხარისხს.

აქ მკვლევარი მოკლეთ აღნიშნავს იესეს თავგადასავალს და, სხვათა შორის, გვაუწყებს, რომ ყულარაღასის მეუღლის ბიძა იყო მეფე თაიმურაზ მეორე და თავის სამშობლოში (ქსნის საერისთავოში) არეულ-დარეულობის გამო, იესეს მოუსურვებია თავისი ოჯახით კახეთში გადასახლება. მათ გზაში ჩასაფრებიან არაგვის ერისთავი ბარძიმი და სეფი-ხანი, შაჰნადირის რწმუნებული და მმართველი ქართლისა. მოულოდნელად თავს დასხმიან იესეს, შეუპყრიათ მისი ცოლ-შვილი, წაურთმევიათ სიმდიდრე, რაც თან მიჰქონდათ და თვით იესეს ძლივს მოუსწრია გაქცევა...

ამ ამბავს მოჰყოლია ის თავდასხმა და რბევები, რომელიც ომარ ხერხეულიძეს აქვს აღწერილი და, რომელზედაც ჩვენ ცალკე შევჩერდებით.

აკ. ექ. თაყაიშვილის ზოგი ცნობები არ ეთანხმება ისტ. ალ. ორბელიანის საგანგებო წერილს, მაგრამ ჩვენთვის დიდათ მნიშვნელოვანია მოკლედ აღნიშნული ნათესაობა იესეს მეუღლის — ქეთევანისა, თეიმურაზ მეფესთან, რაზეც ჩვენ ცალკე შევჩერდით.

ეს ცნობები კვლავ ადასტურებენ, რომ ქეთევანი მეფე თეიმურაზის დის, მაკრინეს ასული იყო; და უნდა ვიფიქროთ, რომ ის ერეკლესთან ერთად იზრდებოდა სასახლეში და დედოფალ თამარის „სადგურის კეთილისა და საუნჯის სათნოებისა", უახლოესი და უსაყვარლესი არსება იყო.

ჩვენ არ ვიცით, თვით ქეთევანი თუ ეწეოდა ბაგრატიონებისათვის ჩვეულს, ტრადიციად ქცეულ მწერლობას, მაგრამ ის ოჯახი, სადაც მისი დედა, ბატონიშვილი მაკრინე დაიბადა და აღიზარდა, ღირსეული გამგრძელებელი ყოფილა ამ ტრადიციისა, რომელსაც წინ უძღოდა თვით მეფე თეიმურაზ მეორე და რომელმაც თვალსაჩინო ღვაწლი დასდო ქართულ მწერლობას. მასთან ერთად იხსენიება მისი უფროსი ძმა, (მემკვიდრე ერეკლე პირველისა), დავით მესამე იმამ ყული ხანი, რომელიც დროგამოშვებით მეფობდა ჯერ კახეთში (1703-1710) და შემდეგ ქართლში (1715-1722), იყო ერთგული ირანისა და შეეწირა სეფევიდების დინასტიის უკანასკნელი შაჰის, სულთან ჰუსეინის უნიჭო ხელმწიფობას.

დავითი ქართულ მწერლობაში სეფევიდების უკანასკნელ შაჰის აპოლოგეტად გვევლინება. მის კალამას, სხვათაშორის, ეკუთვნის მარტყოფის მონასტრისადმი მიცემული „ღვთაების გუჯარი", რომელიც გვიჩვენებს დავითის ღრმა მეცნიერულ ცოდნას: რელიგიურს, ფილოსოფიურს და ისტორიულს". „ამ ძეგლში", სწერს მკვლევარი აკ. გაწერელია, „რამდენიმე ადგილას ავტორს, (დავითს) შეუტანია ლექსები, რომელთაგან ზოგი მისი აღმზრდელის, ჰუსეინ შაჰის პანეგირიკს წარმოადგენს. დავითი და მისი ძმა კონსტანტინე (მაკრინეს ძმები), იყვნენ ირანის გავლენიანი კანცლერის, ფათალი ხანის სიძეები".

ამ ჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესოა ცნობა მაკრინეს, თეიმურაზის და დავითის დის) შესახებ, რომ ისიც ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. ამის შესახებ კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის „ქართულ ლიტ. ისტორია"-შიც ვკითხულობთ: ... „თუ წინათ მწერლობას სათავეში მომეტებულ ნაწილად სამღვდ.-სასულიერო პირნი უდგნენ, ახლა ამ საქმეს ხელი მიჰყვეს საერო პირებმაც, როგორც მამა-კაცებმა, ისე დედა-კაცებმა".

მკვლევარი აკ. გაწერელია იხსენიებს რა აკ. კ. კეკელიძის შრომას („ლიტერატურული ძიებანი") აღნიშნავს, რომ „ნარკვევი ამომწურავად ახასიათებს არა მარტო მეფე დავითის და მისი დის, მარიამ-მაკრინეს ლიტერატურულ მოღვაწეობას, არამედ საერთოდ ირაკლი პირველის პოლიტიკურ კარიერას და ოჯახურ მდგომარეობასაც..."

ყოველივე ეს ნათელჰყოფს ქეთევანის დედის, მაკრინეს, ბაგრატიონულ ტრადიციულ მიდრეკილებას ქართულ მწერლობისადმი. ეს ქალი ცოლად გაჰყოლია ჩოლოყაშვილს და დაქვრივების შემდეგ მონაზონად შესულა. ის დაკრძალულია ალავერდის მონასტერში.

ყველა ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ბატონიშვილ მაკრინეს მშვენიერ ასულის, ქეთევანის ჩოლოყაშვილზე დაქორწინებას, როგორც ეს იმ დროში მიღებული იყო, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური სარჩული უნდა სდებოდა.

**
*

ქართლის მეფის, ვახტანგის რუსეთში გადახვეწის შემდეგ, მარტოდ დაშთენილ კახეთის სამეფოსაც დიდი საფრთხე უდგა წინ. თეიმურაზის და თამარის ტახტს ეხლა უფრო მძლავრი ტალღები ეხეთქებოდა თურქეთის, სპარსეთის და მათივასალის, ლეკებისა.

საქართველოს მომავალი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა უზრუნველყოფილი გამხდარიყო, თუ ქართლი ფეხზე წამოდგებოდა და კახეთის სამეფოს როგორმე შეუმტკიცდებოდა. ამისთვის ილვწოდნენ და იდუმალ ოცნებობდნენ კახის ბატონი თეიმურაზ მეორე და მეორეს მხრივ სულიერი და ლეგიტიმური მემკვიდრე (ძმების რუსეთში გახიზვნის გამო), დედოფალი თამარი.

საქართველოს თუ გადარჩენა ეწერა, ეს ორი სამეფო ეხლა არა მარტო ნათესაობით უნდა დაკავშირებოდნენ ერთი-მეორეს, არამედ გვირგვინითაც; ისენი ერთი ტახტის და დროშის ძლიერების ქვეშ უნდა დამდგარიყვნენ. ამ დიდ საქმეში საჭირო იყო ქართლის დიდ და ურჩ ფეოდალების დახმარება და ყველაზე ადრე ქსნის საერისთავოს შემომტკიცება. აი, სწორედ ქსნის ერისთავი ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ქედმაღლობას იჩენდა და ამ განზრახვებს დიდის ენერგიით და თავდადებით ებრძოდა. მტკცე და ძლიერი ფეოდალი შანშე ერისთავი არავითარ დათმობებზე არ მიდიოდა და მას არც თეიმურაზ-თამარის კარისადმი შაჰნადირის მწყალობლობა და დახმარება აფიქრებდა. შანშე მოწინააღმდეგე ძალას, ოსმალეთის კარზე და კერძოთ ახალციხის ფაშასთან პოულობდა და მათი წყალობით ლეკთა რაზმებით ზურგს იმაგრებდა.

თეიმურაზი და თამარი შეეცადნენ სხვა გზით მოევლოთ ამ ურჩ ფეოდალისათვის და მათი დანათესავება არჩიეს. შანშეს მარჯვენა ხელს, ყულარაღასას, იესეს უნდა მეფის დის ასული, მშვენიერი ქეთევანი შეერთო.

თეიმურაზის და თამარის შორის გამიზნებული პოლიტიკა, ამ ქორწინებით უნდა გაჩარხულიყო. მეფის დის შვილს, მშვენიერ ქეთევანს (ალ ორბელიანის მოწმობით) თავის ერთგულებით და ქრისტიანული სათნოებასიყვარულით ქსნის ურჩი საერისთავო უნდა მოებრუნებინა; მრისხანე შანშე მესამე, ძე დათუნა ერისთავისა, რომელიც ჯერ კიდევ თამარის ძმას, ბაქარს განუდგა, ქეთევანს უნდა როგორმე დაეყვავებინა და ამით ქართლ-კახეთის გაერთიანების გზა გაეწალდა.

სამეფოს ბრწყინვალე ოჯახის წევრი, ჰაეროვანი ქეთევანი იქნებ მაშინ სულ სხვა ზრახვებს ატარებდა; იქნებ მისი ნორჩი გული სულ სხვა ჭაბუკისაგან იყო ელდა ნაკრავი, მაგრამ კახეთის ბატონის, საყვარელი ბიძის რჩევას და თხოვნას, მისი აღმზრდელის, თამარის „ტკბილ შთაგონებას" ის ვერ გადაუხვევდა და სათნო ქეთევანი გახდა რძალი მრისხანე შანშესი და მეუღლე ყულარაღასის იესესი. ამ დიდათ მორწმუნე ასულმა, რომელიც კახეთის წამებულ დედოფლის სახელს ატარებდა, ალბად, ქრისტიანულ, კეთილ ზრახვებით და მოკრძალებით შედგა ფეხი ქსნის ერისთავთა-ერისთავების გაშლილ სასახლეებში და მათ ამაყ და მიუვალ ციხე-კოშკებში.

მისი ფიქრები გამჭვირვალე და ხალასი იყო და მას, ჭეშმარიტად, არავითარი წილი არ ედო იმ „სისხლიანი წვიმების" გაგრძელებაში, რასაც კახთა ბაგრატიონების წინააღმდეგ შემდეგშიაც შეუნელებლად ატარებდნენ უტეხი შანშე და მისი ძმა იესე, მეუღლე სათნო ქეთევანისა.

ამრიგად, მისდა უნებლიედ, ქეთევანი, კახეთისა და სამეფო ოჯახის ერთგული და თეიმურაზ-თამარის მოყვარული, ამათ მოსისხლე მტერთა ბანაკში მოჰყვა და ალბად, ხშირად უთქვავს თავისთვის „გულთა მხილავო, მე არ მაქვს ბრალიო..." და აქ, ქსნის ერისთავთა სასახლეში, ნეტარება-განცხრომის ნაცვლად, რასაც ეტრფოდა და ელოდდა, წილად საშინელი დამცირება და გაუგონარი შეურაცყოფა არგუნეს. მისმა ჯერ გაუფურჩქვნელმა და უმანკო პიროვნებამ ვერაგულად ფეხქვეშ გათელვა განიცადა, რასაც მწარე ტყვეობის წლებიც დაერთო შორეულ ხორასანში.

ეს ის მძიმე და ღალატით დაბნელებული დრო იყო, როცა ქართლ-კახეთში თურქები და სპარსელები ერთი-მეორეს ექიშპებოდნენ გასაძარცვად და დასამხობად აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოთა, რათა შემდეგ აქ საკუთარი ხელმწიფობა განემტკიცებინათ.

**
*

მაშინდელ რბევისა და მიხტომ-მოხტომის ხანაში, რასაც ჩვენი მემატიანეები მწარე ზარით დასტირიან, ლეკებს ქართლ-კახეთში დიდი სათარეშო მისცემოდათ. ესენი ხან ერთ თავდამსხმელს უეთრებდნენ თავის რაზმებს და ხან მეორეს, რათა ქვეყანა უფრო დაერბიათ და გაეუკაცრიელებინათ.

ლეკების დიდ რაზმებს იმ მძიმე ხანაში, განსაკუთრებით ქსნის ერისთავი შანშე იყენებდა. როგორც ვსქთვით, ის ეყრდნობოდა თურქებს, კერძოდ ახალციხის ფაშას და ქვემო და ზემო ქართლს უწყალოდ არბევდა.

ამით ის მახვილს სცემდა თეიმურაზ-ერეკლეს ცდას, რომ ძლევამოსილ შაჰნადირის გულის მოგებით, ჩიხში მოქცეული ქვეყანა, როგორმე გამოენაპირებინათ და ქართლ-კახეთის გაერთიანებისათვის ზგა გაეკაფათ...

ამ მუშაობას თეიმურაზ-ერეკლესთან ერთად, ეწეოდა დედოფალი თამარიც, რომელიც მისი მამის, ვახტანგ მეექვსის რუსეთში გადახვეწის შემდეგ, თავის თავს ქართლის ტახტის მემკვიდრედ სთვლიდა.

აი, ამ რთულ გზაზედ შემდგარ პოლიტიკას შაჰნადირის მრისხანე მახვილზე დაყრდნობა სჭირდებოდა და ამავე დროს, თურქლეკთა თავდასხმების აღაგმვა. როგორც ვთქვით, გაერთიანების საქმეს, მაშინ ყველაზე მძაფრად ებრძოდა ქსნის ერისთავი შანშე, რომელსაც ერთგულად გვერდით უდგა მისი უნცროსი ძმა, ყულარაღასი იესე, ქეთევანის მეუღლე.

რა ამოძრავებდა ეგრერიგად ერისთავთა-ერისთავ შანშეს? ძნელია ამის ახსნა...

პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს შანშე ერისთავი დაკოდილი იყო „ქართლის ჭირით". ვახტანგ მეფის მიერ ტახტის მიტოვება უკლავდა გულს და ცდილობდა მის მოსკოვიდან მობრუნებას. თითქოს აქედან გამომდინარეობდა თეიმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლა და ქართლ-კახეთის გაერთიანებასაც ამ მიზნით ეწინააღმდეგებოდა.

სამისო ცნობებს მართლაც ვხვდებით წყაროებში და კერძოდ აკ. მარი ბროსეს ცნობილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქსნის საერისთავო და მისი უკანასკნელი ერისთავები

„საქართველოს მეფეთა აღწერაში" და სხვ.

აქ ჩვენ ვეცნობით შანშე ერისთავის განმეორებითი, ვედრებას მეფე ვახტანგისადმი: დაბრუნდი, ნუ სტოვებ ტახტს და ნუ ღუპავ ქვეყანასო. თუ თქვენ რაიმე მიზეზით არ შეშეგიძლიანთ ან არ გსურთ უკან დაბრუნება, დაუყონებლივ წარმომიგზავნეთ თქვენი შვილი მეფე ბაქარიო. (იხ. წერილი შანშესი 1724 წ. 9 ნოემბრ.) ამ წერილში (და შემდეგშიაც) გამოსჭვივის განსაკუთრებული ღ ვ ა რ ძ ლ ი და ძაგება თეიმურაზ-ერეკლესადმი... თუ კახის ბატონისას ბრძანებ, — ის მტერი არის. შენ ნუ მომიკვდები და ღმერთმან უწყის... დამიჯერე, თუ არა, და თურმე საქართველოზე შვილის-შვილამდი ხელაღებული ბრძანდებით. ეს არის, შეგვიტყვია". (გვ. 174) შემდეგ მიმართვაში იმავე რიცხვიდან, შანშე მეფესა სთხოვს: აპატიოს და დაბრუნდეს, თან არწმუნებს, რომ მუდამ მისი ერთგული იყო: „ბატონს ამას მოვახსენებ, როგორც ღმერთს არა ვგმობ, არას ფიქრით თქვენი წაბძანება არ მეგონა... კიდევ ღმერთს დოვლათი, როგორც მოუცია, კიდევ მოგვცემს. ჩემზე ხელს ნუ აიღებთ, ღმერთმან იცის არა დამიშავებია რა... ჩემგან ხათრიჯამი ბრძანდებოდე, ნამეტნავს ვეცდები". და სხვ. (იქვე გვ. 175).

ასე წლების განმავლობაში იბრძოდა შანშე და ეხლა ვახტანგ მეფის წასვლის შემდეგ თუმცა 9 წელი გასულიყო, მაგრამ მას ეს ვედრება მეფის უკან დაბრუნებისათვის, არ დაუგდია .. 1733 წელს ის ვახტანგს სწერს: გებრალებოდეთ, მტრებმა ჩემი ნუგეში ძმა რევაზი მომიკლესო. კვალად გთხოვთ ჩქარა ჩამობრძანდეთ, წამოიყვანეთ დამხმარედ რუსის საკმაო ჯარი და ჩვენც ყველანი გაერთიანებულნი აქ დაგიხვდებითო. ჩემთან ერთად არიან არაგვის ერისთავი, გივი ამილახორი და სხვა დიდებულნიო შაჰი უკვე დასუსტებულია და აწ ვერას დაგვაკლებს, ოღონდ თქვენ დაბრუნდითო. მინდოდა თქვენთან პირადათ გხლებოდით, მაგრამ ჩვენებისაგან იმგვარი ცნობები მომივიდა, რომ სწრაფ უკან გამოვბრუნდიო.

წერილის ბოლოს შანშე ვახტანგ მეფისადმი ერთგულების დასამტკიცებლად მძევლების ხლებას პირდება. „მომრხოვეთ" სწერს ის, „თუნდა ყველა ჩემი შვილები, თუ ძმები, ყველას ეხლავ მოგართმევთო". თვით ამ წინადადებიდან სჩანს, რომ მეფესა და ქსნის ერისთავ შორის ნდობა თავიდანვე არა ყოფილა. შანშეს ხომ არა ერთხელ უღალატნია მეფე ვახტანგისათვის და მისი ძისათვის — ბაქარისათვის. (იხ. ალ. ორბელიანის წერილები) „არას ფიქრით თქვენი წასვლა არ მინდოდაო", სწერს ეხლა რუსეთში გარდახვეწილ მეფეს... ნამდვილად კი შანშეს განდგომამ გაურთულა მეფეს ისედაც მძიმე მდგომარეობა და ბოლოს შანშეს ღალატმა აიძულა ქართლი მიეტოვებინა, როგორც ამას ისტორიკოსი ალ. ორბელიანი ადასტურებს. სწორედ ამით თუ აიხსნება, რომ ნდობის ხელახლა მოსაპოვებლად ერისთავი მზად არის მძევლებად შვილები და ძმაც (ქეთევანის ქმარი) ახლოს მეფეს.

ჭეშმარიტად, დიდი ყოფილა ქსნის ერისთავის ძალა, რომელმაც ვახტანგის წინაალმდეგ ჯერ კიდევ 1711 წ. იჩინა თავი და შანშეს დროს 1724 წ. მეფე აიძულა ქართლის ტახტი და ქვეყანა დაეტოვებინა. რამ შაუწყო ხელი 1711 წელს გახდომას? „კერძოთ ერისთავების შეთქმულებამ იჩინა თავი", ამბობს მკვლევარი გ. ლეონიძე. „ვახტანგის მიერ ოსეთის დაპყრობის შემდეგ 1711 წ.შიშისაგან, რომ ვახტანგს მათი მოსაზღვრე მამულიც არ დაეპყრო. ამისათვის ერისთავები ნათესაურად შეუკავშირდნენ სვიმონ ბატონიშვილს (ვახტანგის მოწინააღმდეგეს) და მასთან ერთად „იწყეს ქვეგამხედველობად ვახტანგისა" (იხ. ვახტანგიანი). ვახტანგის სპარსეთში ყოფნის დროს სვიმონმა (ჯანაშია) შემოიმტკიცა ქსნის ერისთავები და დაარსა ძლიერი ფეოდალური პარტია ვახტანგის დასამხობად. ამ ოპოზიციის ცენტრალური ფიგურა ქსნის ერისთავი იყო.

ფეოდალური პარტია, რომელიც გუშინ ვახტანგს ძირს უთხრიდა, დღეს შანშე მეთაურობით დარაზმულიყო და კახეთის ბატონ თეიმურაზს და მის ძეს ერეკლეს გააფრთებით ებრძოდა.

ამ შემთხვევაში მათი განდგომისა და მტრობის მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ თავგასულ ფეოდალებს თეიმურაზ-ერეკლეს მაგარი ხელი და მტკიცე გეზი ქართლ-კახეთის გასაერთიანებლად დიდათ აფიქრებდათ. მაგარი, ცენტრალური სახელმწიფო ძალა მათ ბატონობას ცალკეულ საერისთაოებში ძირს უთხრიდა.

(გაგრძელება იქნება)

† აკაკი პაპავა

## დამოუკიდებლობის დღე ნიუ იორკში

ქართული სათვისტომოს გამგეობამ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე გადაიხადა მაისის 28ს, ნიუ იორკში, სასტუმრო რუზველტის ეროვნული დროშებით მორთულ დარბაზში.

ნაშუადღევის 3:30 წუთზე საზეიმო კრებას ხსნის საზოგადოების თავმჯდომარე ქ-ნი ელ. ცომაია. (მის შესავალ სიტყვას მკითხველი წინამდებარე გაზეთიდან გაეცნობა).

ინგლისურ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა დრ. გ. ნაკაშიძემ. მან ვრცელი მიმოხილვა გააკეთა საქართველოს ისტორიის, ქართველი ერის მიერ თვითმყოფობისათვის გადახდილი ბრძოლების და ვრცლად შეეხო დამოუკიდებლობის ეპოქას, მთელი ქართველი ერი მაღალი ენტუზიაზმით რომ ჩაება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

დაწვრილებით შეეხო 1921 წ. თებერვალში რუსეთის თავდასხმას, ქართველი ერის თავდაუზოგველ შებრძოლებას ხოლო დამარცხების შემდეგ კი ქართველი ხალხის მოურიდებელ საპროტესტო დემონსტრაციებს, შეიარაღებულ აჯანყებებს და დამპყრობელისადმი შეურიგებლობის სულს და ნების ყოფას, რომელიც დღევანდლამდე გრძელდება. ჩვენი გამარჯვების და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი და საწინდარი სწორედ ქართველი ერის ნებისყოფაა და ყველა ნიშანია, რომ ეს გაუძლებს რუსულ თვითმპრობელურ დესპოტიურ რეჟიმს და აქედან გამარჯვებული გამოვაო.

ქ-ნ ნინო ვაჩნაძე-კოვალსკიმ საზოგადოებას გააცნო დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით შეერთებულ შტატების და ჩვენ ბედში მყოფ ერების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებისაგან მიღებული მილოცვები.

შეერთებულ შტტების პრეზიდენტ ნიქსონიდან მოყოლებული, თითქმის, ყველა სენატორები და ხალხთა წარმომადგენლები, ერთსულოვნად აღნიშნავენ საქართველოს უკეთეს მომავალის იმედს და უსურვებენ მას მიზნის მიღწევას.

მაგრამ, მაინც დამახასიათებელია ჩვენი ძველი მეგობრის და საქართველოს საკითხის სპეციალისტის კონგრესმენ სეიმურ ჰალპერნის საქციელი. მან მაისის 24-ს ითხოვა უფლება კონგრესის წინაშე წარმოეთქვა სიტყვა. კონგრესის არქივში ვკითხულობ: მისის 26-ს, 1918 წელს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც არჩეული იყო ეროვნული ყრილობისაგან, გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდობლობა. 1919 წლის თებერვალში მოხდა ახალი არჩევნები, რომელსაც ჰქონდა საყოველთაო, თანაბარი და საიდუმლო ხასიათი. ამომრჩეველთა უმრავლესობამ ხმა მისცა მენშევიკებს, რომლებმაც დაუყონებლივ შეადგინეს კაბინეტი (ე. ი. მთავრობა) და ადმინისტრაცია... ქართული სოციალ-დემოკრატების ლიდერები, რომლებიც უწინ მუშაობდნენ რუსეთში დემოკრატიული სოციალიზმის გასამარჯვებლად, საჩქაროდ გარდაიქნენ ნაციონალისტებად. რევოლუციური წითელი დროშა, საქართველოს მფარველი და პატრონი, წმინდა გიორგის ემბლემით შეიცვალა. ქართული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად და რუსული განიდევნა ყრილობებიდან, სასამართლოდან და ჯარიდან.

დიდი მიღწევები იყო განათლების საქმეში. 1918 წლის დასაწყისში თბილისში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი.ეს კი მუდამ იყო ქართული ინტელიგენციის ოცნება. ისტორიკოს ივანე ჯავახიშვილის და ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი კორნელი კეკელიძეს წყალობით თბილისის უნივერსიტეტი მალე გადაიქცა ქართული განათლების მპყრობელად.

შრომის და წარმოების სფეროში მთავრობა დარჩა სოციალისტურ პრინციპზე და კიდეც ჰქონდა სათანადო მიღწევები. მან სავალდებულოდ გახადა რვა საათიანი სამუშაო დღე. ზედმეტ საათებში მუშას ეძლეოდა ორმაგი ხელფასი, შემოიღეს უმუშევრობის და ჯანმთელობის სავალდებული დაზღვევა და ხს.

1921 წლის 11 თებერვალს, რუსული ბოლქევიზმის ორმა ლიდერმა, სტალინმა და ორჯონიკიძემ უბრძანა წითელ არმიას „დაერტყა" საქართველოსათვის და იქ საბჭოთა რეჟიმი დაემყარებინა. ამ დიდ სამხედრო ძალასთან საბრძოლველად, საქართველოს მხოლოდ ორმოცი ათასი მხედარი ჰყავდა, ისიც საქართველოს სხვადასხვა ფრონტებზე გაბნეული. ქართველებს მოუხდათ, რიცხობრივად უდიდეს ძალასთან დაპირისპირება და მიუხედავათ მათი არაჩვეულებრივი გმირობისა, ქართულმა ჯარმა ვერ გაუძლო საბჭოთა ინვაზიას. მარტის 16-ს უკანასკნელად შეირიფა ბათუმში დამფუძნებელი კრება და დაადგინა: მთავრობამ დასტოვოს საქართველო და გააგრძელოს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. რუსული ჯარის ბათუმში შესვლით უხეშათ დაემხო საქართველოს დამოუკიდებლობა. დანარჩენი ისტორია თავისუფალი სამყაროსთვის ცნობილია.

ბრძოლა, რომელსაც ჩვენ შევეხეთ და რომელსაც ჩვენ ვიგონებთ, საქართველოს დამოკიდებლობის მოკლე პერიოდია, და პატივი ვცეთ ქართულ მიწას და მის ხალხსლ, რომლებიც დღესაც ოცნებობენ და იმედოვნებენ, რომ ერთ დღეს კვლავ აღიდგენენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

მივესალმები მამაც და მებრძოლ ქართველ ხალხს".

დღობას მოახსენებს ყველას, ვინც ჩვენ უთა-

„ქართული აზრის" რედაქცია ულრმეს მანასწორო ბრძოლაში თანაგრძნობით გვექცევა და კერძოდ ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწე სეიმურ ჰალპერნს და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „ქ. აზრის" რედაქციასთან ერთად, ყოველ ქართველს აღევსება გული მადლობის გრძნობით.

## † დიმიტრი ახვლედიანი

1972 წლის თებერვლის 4-ს, ვალენტინეში (საფრანგეთი) გულის შეტევით, გარდაიცვალა დ. ახვლედიანი.

განსვენებული ახალგაზრდობიდან ჩაება ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების საწინაალმდეგო ბრძოლაში. ჯერ კიდევ, დამოუკიდებლობის დროს, ნიკო ნაკაშიძეს მოხალისეთა რაზმში ჩაეწერა და მონაწილეობა მიიღო სომხეთ-საქართველოს ომში. შემდეგ, 1924 წლის აჯანყების დროს ჩხარში მიიღო მონაწილეობა. ამის გამო დატუსაღებულიც იყო და მეტეხის ციხეში ხანგრძლივად იჯდა... დახვრეტას ძლივს გადაურჩა. განთავისუფლების შემდეგ ოჯახში დაბრუნდა და იქ არსებობისათვის პატიოსან შრომას ეწეოდა, მაგრამ ჩეკის აგენტები მაინც არ ასვენებდნენ. ამის გამო იძულებული იყო მშობელ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს გასცლოდა და უცხოეთში გახიზნულიყო, სადაც ათეული წლების განმავლობაში საფრანგეთის სხვა და სხვა კუთხეში უხდებოდა მუშაობა და თავის რჩენა. საბოლოოდ კი ვალენტინეში (დუბის დეპ.) დამკვიდრდა და დაოჯახდა. შეძლების დაგვარად ყველას დახმარების ხელს უწვდიდა. მისი ოჯახის კარი მუდამ ღია იყო, სტუმართმოყვარეობის გულით გამთბარი.

ლტოლვილობაშიც თავს არ იზოგავდა და მტრის წინაალმდეგ ბრძოლას განაგრძობდა, რითაც კი ეხერხებოდა. ბოლოს კალამსაც მოავლო ხელი და წერილებს ათავსებდა „კევკასიაში", „ქართულ აზრში", „ივერიაში" და „კავკასიონში". თავის ხარჯით გამოსცა ორი წიგნაკი — „ცნობის ფურცელი", სადაც საბჭოთა საქართველოს რეჟიმის უვარგისობა და კოლექტიური მეურნეობის უხეირობა მოურიდებლად და დაუზოგველათ არის მხილებული.

განსვენებული მიწას მიაბარეს ვალენტინეს სასაფლაოზე, მახლობელ ნათესავების და ყველა ქართველების თანადასწრებით. პარიზიდან ჩამოვიდნენ მისი ძმა და მეგობრები. წესი აუგო და საუკუნო სულთათანა უგალობა არქიმანდრიტმა მამა ილიამ.

მეგობარი

* ★ *

## განცხადება

ბ-ნი შალელაშვილი ნამთალ ნამთალის-ძე მცხოვრები იზრაელში, გვთხოვს მოუძებნოთ ძმა, შოთა ნამთალის-ძე შალელაშვილი, რომელიც 1943 წელში გაუგზავნიათ „დამსჯელ ათასეულში". როგორც ბ-ნი ნათალი იტყობინება ძმას მხოლოდ ერთხელ მოუწერია ფრონტიდან და ატყობინებდა: „მშვიდობით, მე უკან დამბრუნებელი აღარა ვარო". ბატონი ნათალი ფიქრობს, რომ მისმა ძმამ დატოვა წითელი ჯარი და ხმაც მისვლია, რომ ის რომელიღაც თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრობს.

უმორჩილესად ვთხოვთ ყოველ ქართველს, თუ რაიმე სმენია შოთა შალელაშვილის შესახებ, აცნობოს „ქართული აზრის" რედაქციას.

## † ილო ზედგენიძე

1971 წლის დეკემბრის 28-ს, 73 წლის ასაკში, მონპელიარში (საფრანგეთი), უეცრად გარდაიცვალა მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრი, ყველასათვის კარგი მეგობარი, გულმართალი კაცი, საქართველოს გულწრფელი მოყვარული დამოუკიდებელი საქართველოს პირველი წვევის ჯარისკაცი, მტრის წინაალმდეგ ფოლიოს ხიდთან ბრძოლის მონაწილე, მეტად უწყინარი — ილო ზედგენიძე.

ვერ შეურიგდა საქართველოში რუსების ბატონობას, მათ იძულებით კოლექტივიზაციას, დაკარგა სამშობლო, ქონება, ოჯახი და დროებით თავი შეაფარა ჯერ თურქეთს და უფრო ხანგრძლივად კი საფრანგეთში ცხოვრობდა. მეორე მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის ჯარში იყო გაწვეული. ომის გათავების და დემობლიზაციის შემდეგ მუშაობდა პეჟოს ქარხანაში. ენერგიული შრომით ცოტა ქონებაც შეიძინა, ხოლო დაკარგული სამშობლო ველარ დაიბრუნა, შეუბრალებელმა სიკვდილმა ეს ბედნიერება აღარ აღირსა.

მტერთან შეურიგებელი რწმენით განშორდა ამ ქვეყანას, ნათესავების და მეგობრებისაგან დატირებული.

ილია ზედგენიძე დაასაფლავეს მომბელიარის ქართველთა სამარხში. გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა ს. ჭირაქაძემ.

(ს)

***

### ბ-ნო რედაქტორო,

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადაუხადო, ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით — რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი უსაზღვრო მწუხარება, უდროოდ გარდაცვლილი ჩემი ძვირფასი მეუღლის, თინას გარდაცვალების გამო.

პ. სარჯველაძე

---

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გასული წლის დეკემბრის 27-ს საფრანგეთში გარდაიცვალა

**ილია ზედგენიძე**

ღრმა თანაგრძნობას უცხადებთ მის ოჯახს და მეგობრებს.

---

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ თებერვლის 4-ს, საფრანგეთში გარდაიცვალა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი წევრი

**დიმიტრი ახვლედიანი**

ღრმა თანაგრძნობას უცხადებთ მის მეუღლეს, ძმას და მეგობრებს.

---

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ აპრილის 4-ს, საფრანგეთში გარდაიცვალა

**თინათინ ჯაფარიძე სარჯველაძისა**

ღრმა სამძიმარს უცხადებთ მის მეუღლეს, შვილს, ძმას, ნათესავებს და მეგობრებს.

---

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ კვინსში, (შეერთებული შტატები) აპრილის 29 გარდაიცვალა

**ბარბარე კიზირია-ალშიბაიასი**

ღრმა თანაგრძნობას უცხადებთ მის შვილებს, რძალს, სიძეებს, შვილიშვილებს, ნათესავებს და მეგობრებს.

---

**G. A. Press**

ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

**Mr. G. Djakeli**
*535 E. 78 Street,*
*New York, N. Y. 10021*

ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

*EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, Dr. G. Gabliani.*
149 Avenue A
New York, N. Y. 10009
Tel.: 473-0240